სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 2 23 0001128686

12/09/2023

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან აკადემიურ საბჭოში წარმომადგენლის არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების” მე-7 მუხლის და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების (შემდგომში -არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-9 მუხლის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივნის, იაშა კუტუბიძის 2023 წლის 11 სექტემბრის (№1118241) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2023 წლის 03 ოქტომბერს დაინიშნოს არჩევნები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან აკადემიური საბჭოს წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი.
2. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე უკავია პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობა. აკადემიური საბჭოს წევრს ფაკულტეტიდან ირჩევს

შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ-სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
3. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 20 სექტემბრიდან და დასრულდეს 2023 წლის 27 სექტემბერს.
5. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს: ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი; ბ) ცნობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
6. უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოებმა 2023 წლის 20 სექტემბრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
7. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კარლო კოპალიანმა უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
8. არჩევნები ჩატარდეს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
9. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
10. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის შენობებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
11. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს 2023 წლის 13 სექტემბრიდან.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).



რექტორი
გურგენიძე დავით